საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-774

2020 წლის 31 აგვისტო

ქ. თბილისი

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ

„ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ,,ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესი“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი	ლევან დავითაშვილი

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის (შემდგომში „მგვ რეესტრი“) წარმოების წესი შემუშავებულია „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით და განსაზღვრავს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული პროდუქტის (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების) მწარმოებლების (შემდგომში „მწარმოებელი“) და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციების (შემდგომში „მგვ ორგანიზაცია“) მგვ რეესტრში რეგისტრაციის პირობებს და ანგარიშგების წესს.

2. მგვ რეესტრს ქმნის და ადმინისტრირებას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო“).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული პროდუქტი – ელექტრო და

ელექტრონული მოწყობილობები (დანართი 5);

ბ) ახალი მწარმოებელი – პირი, რომელსაც მგვ რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება წარმოეშობა 2022 წლის 1 ივნისის შემდეგ.

გ) მეორადი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა – ექსპლუატაციაში ნამყოფი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც გამოყენება პირდაპირი დანიშნულებით.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით განსაზღვრული ტერმინები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

მუხლი 3. მგვ რეესტრის ადმინისტრირება
1. მგვ რეესტრის ადმინისტრირებას ახორციელებს სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს წარდგენილი ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, ანალიზს, მონიტორინგს, შესაბამისი ანგარიშების მომზადებას, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
2. მგვ რეესტრის ტექნიკურ ადმინისტრირებას ახორციელებს სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია მგვ რეესტრის პროგრამულ უზრუნველყოფასა და გამართულ მუშაობაზე, მონაცემთა დაცვაზე და სხვა სახის ტექნიკურ მხარდაჭერაზე.

3. მგვ რეესტრის პროგრამული უზრუნველყოფა ხდება დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მისი არსებულ მონაცემთა ბაზებთან და საინფორმაციო სისტემებთან თავსებადობის გათვალისწინებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

მუხლი 4. მგვ რეესტრის მონაცემების საჯაროობა
1. მგვ რეესტრში შეტანილი მონაცემებიდან საჯაროა და სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება შემდეგი მონაცემები:
ა) ინფორმაცია წლის განმავლობაში ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ჯამური რაოდენობისა და წონის შესახებ;

ბ) მგვ ორგანიზაციების და მისი წევრების სია.

2. ინფორმაცია კონკრეტული მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ არ არის საჯარო.

მუხლი 5. მგვ რეესტრში რეგისტრაცია
1. ყველა მწარმოებელი ვალდებულია 2022 წლის 1 ივნისამდე გაიაროს რეგისტრაცია მგვ რეესტრში.
2. ახალი მწარმოებელი ვალდებულია მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებამდე გაიაროს რეგისტრაცია მგვ რეესტრში.

3. მგვ ორგანიზაცია ვალდებულია ავტორიზაციის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში დარეგისტრირდეს მგვ რეესტრში.

4. მგვ რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება ვებგვერდზე https://waste.mepa.gov.ge სპეციალური ფორმის შევსების გზით.

5. მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული პროდუქტის მწარმოებელი მგვ რეესტრში რეგისტრაციის მიზნით ავსებს ამ წესის დანართ 1-ს.

6. მგვ ორგანიზაცია, მგვ რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ავსებს ამ წესის დანართ 2-ს.

7. მგვ რეესტრში ინფორმაციის სრულად შეტანის შემდეგ, მწარმოებელს/მგვ ორგანიზაციას ენიჭება უნიკალური კოდი და იგი ითვლება რეგისტრირებულად. მწარმოებლის რეგისტრაციის ფაქტი დასტურდება შესაბამისი ამონაწერით (დანართი 6).

8. სარეგისტრაციო ფორმაში (დანართი 1, დანართი 2) წარმოდგენილი ინფორმაციის ცვლილებისას მწარმოებელი/მგვ ორგანიზაცია ვალდებულია მგვ რეესტრში ასახოს აღნიშნული ცვლილება მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

9. მწარმოებელი/მგვ ორგანიზაცია პასუხისმგებელია სარეგისტრაციო ფორმაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

მუხლი 6. რეგისტრაციის გაუქმება
1. მწარმოებელი აუქმებს მგვ რეესტში რეგისტრაციას, თუ იგი წყვეტს მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებას.
2. მგვ რეესტრის ადმინისტრატორი აუქმებს მგვ ორგანიზაციის რეგისტრაციას ავტორიზაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. ანგარიშგება მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული პროდუქტის შესახებ
1. მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული პროდუქტის შესახებ ანგარიშგება ხორციელდება ყოველთვიურად. წინა თვის ინფორმაცია ბაზარზე განთავსებული პროდუქციის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.
2. მწარმოებელი უფლებამოსილია მგვ ორგანიზაციას მიანიჭოს უფლებამოსილება, მგვ რეესტრში მისი სახელით მოახდინოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტების შესახებ ანგარიშგება.

3. მწარმოებელი ან მგვ ორგანიზაცია დანართი 3-ის შესაბამისად წარადგენს ინფორმაციას მგვ რეესტრში.

4. იმ შემთხვევაში, თუ თვის განმავლობაში მწარმოებლების მიერ არ ხორციელდება ბაზარზე პროდუქტების განთავსება, დეკლარაციის წარდგენა უნდა მოხდეს ნულოვანი რაოდენობით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

მუხლი 8. მგვ რეესტრში შეტანილი ინფორმაციის ცვლილება/განახლება
1. მგვ ორგანიზაციას/მწარმოებელს უფლება აქვს ერთჯერად შეასწოროს ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად მგვ რეესტრში შეტანილი ინფორმაცია.
2. შესწორება უნდა განხორციელდეს მიმდინარე თვის არაუგვიანეს 20 რიცხვისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ ინფორმაციის შეცვლა არ დაიშვება.

3. (ამოღებულია - 31.05.2022, №2-381).

4. მგვ რეესტრში ფიქსირდება შესწორების შეტანის თარიღი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

დანართი 1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022 წ.

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მწარმოებლების მგვ რეესტრში

რეგისტრაციის, ინფორმაციის განახლების და რეგისტრაციის გაუქმების ფორმა

☐ რეგისტრაცია მგვ რეესტრში	☐ მგვ რეესტრში წარმოდგენილი ინფორმაციის განახლება	☐ რეგისტრაციის გაუქმება რეგისტრაციის გაუქმების თარიღი და მიზეზი

(მონიშნეთ „X”-ით)

მწარმოებლის სახელწოდება: ეკონომიკური საქმიანობის კოდი: საიდენტიფიკაციო ნომერი:	
ვარ საქართველოში მწარმოებელი: ☐	ვარ იმპორტიორი: ☐

საკონტაქტო ინფორმაცია:

საფოსტო ინდექსი	იურიდიული მისამართი	ფაქტობრივი მისამართი
ტელეფონი	ელ.ფოსტა	ვებგვერდი:

საკონტაქტო პირი:

სახელი:	გვარი:
ტელეფონი:	ელ.ფოსტა:

წინა წელს და მიმდინარე წლისთვის (რეგისტრაციის დროისთვის) ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების და საანგარიშო წლისათვის საპროგნოზო ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობა (ტონა)

წინა წელს ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობა (ტონა)	მიმდინარე წლისთვის ბაზარზე (რეგისტრაციის დროისთვის) განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობა (ტონა)	მომავალი (საანგარიშო) წლისათვის საპროგნოზო ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობა (ტონა)
დამადასტურებელი ცნობა		

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების კატეგორიები (მონიშნეთ X-ით ბაზარზე განთავსებული მოწყობილობის კატეგორია მე-4 დანართის შესაბამისად)			
1	☐	**4**	☐
2	☐	**5**	☐
3	☐	**6**	☐
ინფორმაცია მოწყობილობების შესახებ საყოფაცხოვრებო ☐ ☐ სამრეწველო			

☐ ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვილობას (სავალდებულოა, მონიშნეთ „X“-ით).

დამატებითი კომენტარები:

დანართი 2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022 წ.

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მგვ ორგანიზაციის მგვ რეესტრში რეგისტრაციის, ინფორმაციის განახლების და რეგისტრაციის გაუქმების ფორმა

☐ რეგისტრაცია რეესტრში	☐ რეესტრში წარმოდგენილი ინფორმაციის განახლება	☐ რეგისტრაციის გაუქმება რეგისტრაციის გაუქმების თარიღი და მიზეზი

(მონიშნეთ „X“-ით)

მგვ ორგანიზაციის სახელწოდება: საიდენტიფიკაციო ნომერი:

საკონტაქტო ინფორმაცია:

საფოსტო ინდექსი	იურიდიული მისამართი	ფაქტობრივი მისამართი
ტელეფონი	ელ.ფოსტა	ვებგვერდი:

საკონტაქტო პირი:

სახელი:	გვარი:
ტელეფონი:	ელ.ფოსტა:

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების კატეგორიები (მონიშნეთ „X“- ით ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესაბამისი კატეგორია მე-4 დანართიდან)			
1	☐	4	☐
2	☐	5	☐
3	☐	6	☐
მგვ ორგანიზაციის ავტორიზაციის ბრძანება			

ივსება მგვ ორგანიზაციის კოლექტიური სქემის შემთხვევაში მგვ ორგანიზაციაში შემავალ მწარმოებელთა ნუსხა საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით, რომელიც დასტურდება წევრების მიერ (ინფორმაცია თითოეული მწარმოებლის შესახებ ივსება ცალკე გრაფაში)				
1.			9.	
2.			10.	
3.			11.	
4.			12.	
5.			13.	
6.			14.	
7.			15.	
8.			16.	

☐ ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვილობას (სავალდებულოა, მონიშნეთ „X“- ით).

დამატებითი კომენტარები:

დანართი 3

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022 წ.

მწარმოებლების მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ყოველთვიური ანგარიშგების ფორმა

მწარმოებლის დასახელება	მწარმოებლის რეესტრის ნომერი	რიცხვი, თვე, წელი
☐ ვარ მგვ ორგანიზაცია და ანგარიშგებას ვახდენ მწარმოებლის სახელით ☐ მგვ ორგანიზაციის სახელწოდება		
☐ მგვ ორგანიზაციის რეესტრის ნომერი		

No	კატეგორიები მე-4 დანართის შესაბამისად	რაოდენობა (თვიურად ერთეულებში)	ჯამური წონა (თვიურად ტონა)	საყოფაცხოვრებო დანიშნულების	არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების	ახალი პროდუქცია	მეორადი პროდუქცია	წარმოებული საქართველოში	იმპორტირებული	სასაქონლო კოდი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

		ჯამი	ჯამი	ჯამი	ჯამი	ჯამი	ჯამი	ჯამი	ჯამი	

☐ ვადასტურებ, რომ არ არსებობს სხვა არადეკლარირებული რაოდენობები (სავალდებულოა, მონიშნეთ „X“-ით, თუ საანგარიშო პერიოდისთვის არ არსებობს სხვა რაოდენობები)

☐ ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვილობას (სავალდებულოა, მონიშნეთ „X“-ით).

დამატებითი კომენტარები:

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების კატეგორიები და ქვეკატეგორიები

N	კატეგორია	ქვეკატეგორია
1	**თბოგამცვლელი ტექნიკა**	მაცივრები, საყინულეები, აღჭურვილობა, რომელიც ავტომატურად იძლევა ცივ პროდუქციას, ჰაერის კონდიცირების მოწყობილობები, ნესტის გასაშრობი აღჭურვილობა (დეჰუმიდიფიკაციის ტექნოლოგიები), სითბოს ტუმბოები, ზეთის შემცველი რადიატორები და სხვა ტემპერატურული მიმოცვლის აღჭურვილობა, რომელიც წყლის მაგიერ მოიხმარს სხვა სახის სითხეს.
2	**ეკრანების მონიტორები, 100 სმ^2-ზე მეტი ფართობის მქონე ეკრანების შემცველი ტექნიკა**	ეკრანები, ტელევიზორები, LCD ფოტოჩარჩოები, მონიტორები, ლეპტოპები, ნოუთბუქები.
3	**ნათურები**	ფლუორესცენციული სწორი ნათურები, ფლუორესცენციული კომპაქტური ნათურები, მაღალი ინტენსივობის განმუხტვის ნათურები – მათ შორის მაღალი და დაბალი წნევის ნატრიუმის ნათურები, მეტალჰალოგენური ნათურები, შუქდიოდები (LED).

N	კატეგორია	ქვეკატეგორია
4	**მსხვილი ტექნიკა (გარე ზომა 50 სმ-ზე მეტი). ამ კატეგორიაში არ შედის 1-ლ, მე-2 და მე-3 კატეგორიებში შემავალი მოწყობილობები**	საყოფაცხოვრებო მოწყობილობები, IT და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები, სამომხმარებლო აღჭურვილობა, სანათები, აუდიო და ხმოვანი აღჭურვილობა, ელექტრო და ელექტრონული ხელსაწყოები, მუსიკალური ხელსაწყოები, ელექტრო და ელექტრონული ხელსაწყოები, სათამაშოები, სპორტული და გამაჯანსაღებელი აღჭურვილობა, სამედიცინო მოწყობილობები, მონიტორინგის და კონტროლის ინსტრუმენტები, ავტომატური დისპენსერები, ელექტროტალღების წარმომქმნელი მოწყობილობები. ეს კატეგორია არ მოიცავს 1-ლ, მე-2 და მე-3 კატეგორიებში შემავალ მოწყობილობებს. სარეცხი მანქანები, ტანსაცმლის საშრობები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, ღუმელები, ელექტრო ღუმელები, ელექტრო გამაცხელებლები, სანათები, აუდიო და ხმოვანი აღჭურვილობა, ელექტრო და ელექტრონული ხელსაწყოები, მუსიკალური ხელსაწყოები (გარდა ეკლესიებში არსებული ორღანის მილებისა), სამკერვალო და საქსოვი დანადგარები, მეინფრეიმები, დიდი ზომის საბეჭდი მანქანები, საბეჭდი მანქანები, სლოტ-სათამაშო მანქანები, დიდი ზომის სამედიცინო აღჭურვილობა, დიდი ზომის მონიტორინგის და კონტროლის ინსტრუმენტები, დიდი მოცულობის ხელსაწყოები, რომლებიც ავტომატურად იძლევა პროდუქტებსა და ფულს, ფოტოვოლტაიკური პანელები.
5	**მცირე ზომის ტექნიკა (გარე ზომა 50 სმ-ზე ნაკლები). ამ კატეგორიაში არ შედის 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-6 კატეგორიებში შემავალი მოწყობილობები**	საყოფაცხოვრებო მოწყობილობები, სამომხმარებლო აღჭურვილობა, სანათები, აუდიო და ხმოვანი აღჭურვილობა, მუსიკალური აპარატურა, ელექტრო და ელექტრონული ხელსაწყოები, სათამაშოები, სპორტული და გამაჯანსაღებელი აღჭურვილობა, სამედიცინო მოწყობილობები, მონიტორინგის და კონტროლის ინსტრუმენტები, ავტომატური დისპენსერები, ელექტროტალღების წარმომქმნელი მოწყობილობები. ეს კატეგორია არ მოიცავს 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-6 კატეგორიებში შემავალ მოწყობილობებს. მტვერსასრუტები, ხალიჩის საწმენდები, საკერავი მოწყობილობები, სანათები, მიკროტალღური ღუმელები, სავენტილაციო აღჭურვილობა, უთოები, ტოსტერები, ელექტრო დანები, ელექტრო ჩაიდნები, საათები და მაჯის საათები, ელექტრო საპარსი, სასწორები, ტანისა და თმის მოვლის აღჭურვილობები, კალკულატორები, რადიო მოწყობილობები, ვიდეო კამერები, ვიდეო ჩამწერები, Hi-FI აღჭურვილობები,

N	კატეგორია	ქვეკატეგორია
		მუსიკალური ინსტრუმენტები, ხმისა და გამოსახულების წარმომშობი მოწყობილობები, ელექტრო და ელექტრონული სათამაშოები, კომპიუტერული მოწყობილობები, რომელიც გამოიყენება ველოსპორტის, ყვინთვის, სირბილის, ნაოსნობისას და ა.შ.; კვამლის დეტექტორები, სითბოს რეგულატორები, თერმოსტატები, მცირე ზომის ელექტრო და ელექტრონული იარაღები, მცირე ზომის სამედიცინო მოწყობილობები, მცირე მონიტორინგისა და კონტროლის ინსტრუმენტები, მცირე მოწყობილობები, რომელთა მეშვეობით ავტომატურად ხდება პროდუქტის მიღება, მცირე ზომის აღჭურვილობა ჩამონტაჟებული ფოტოვოლტაიკური პანელებით.
6	**მცირე ზომის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები (გარე ზომა 50 სმ-ზე ნაკლები)**	მობილური ტელეფონები, GPS, ჯიბის კალკულატორები, როუტერები, პერსონალური კომპიუტერები, პრინტერები.

დანართი 5

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების სასაქონლო კოდები		
1. თბოგაცვლითი ტექნიკა		
1	**8418 40 20**	ვერტიკალური ტიპის საყინულე კარადები ტევადობით არაუმეტეს 250 ლ-ისა
2	**8418 40 80**	ვერტიკალური ტიპის საყინულე კარადები ტევადობით 250 ლ-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 900 ლ-ისა
3	**8418 21 10**	საყოფაცხოვრებო კომპრესიული მაცივრები ტევადობით 340 ლ-ზე მეტი
4	**8418 21 51**	საყოფაცხოვრებო კომპრესიული მაცივრები მაგიდის სახით
5	**8418 21 59**	საყოფაცხოვრებო კომპრესიული მაცივრები ჩასაყენებელის ტიპისა
6	**8418 21 91**	საყოფაცხოვრებო კომპრესიული მაცივრები ტევადობით არაუმეტეს 250 ლ-ისა
7	**8418 21 99**	საყოფაცხოვრებო კომპრესიული მაცივრები ტევადობით 250 ლ-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 340 ლ-ისა
8	**8418 29 00**	საყოფაცხოვრებო მაცივრები დანარჩენი
9	**8415 10 10**	მოწყობილობები ჰაერის კონდენცირებისათვის,ძრავიანი ვენტილატორებით და ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის შესაცვლელი მოწყობილობებით,კონდენციონერების ჩათვლით,რომლებშიც ტენიანობა ცალკე არ რეგულირდება: კედლისა ან ფანჯრის ტიპის - ერთიან კორპუსში
10	**8415 10 90**	მოწყობილობები ჰაერის კონდენცირებისათვის,ძრავიანი ვენტილატორებით და ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის შესაცვლელი მოწყობილობებით,კონდენციონერების ჩათვლით,რომლებშიც ტენიანობა ცალკე არ რეგულირდება: კედლისა ან ფანჯრის ტიპი სპლიტ-სისტემის
11	**8415 20 00**	მოწყობილობები ჰაერის კონდენცირებისათვის ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში ადამიანებისათვის გამოსაყენებელი
12	**8415 81 00**	ჩაყენებული მაცივარი დანადგარითა და ,,სიცივე-სითბო“ გადართვის უზრუნველმყოფი სარქველით (რევერსიული თბური ტუმბოები):
13	**8415 82 00**	დანარჩენი, ჩაყენებული მაცივარი დანადგარით
14	**8415 83 00**	დანარჩენი, ჩაყენებული მაცივარი დანადგარის გარეშე
15	**8516 29 10**	სითხით შევსებული რადიატორები ელექტრო
16	**8418 10**	კომბინირებული მაცივარ-საყინულეები ცალკე გარე კარებებით:
17	**8418 10 000 01**	სამოქალაქო ავიაციისათვის
18	**8418 10 200 00**	ტევადობით 340 ლ-ზე მეტი
19	**8418 10 800 00**	დანარჩენი
20	**8418 30**	ზანდუკის ტიპის საყინულეები, ტევადობით არაუმეტეს 800 ლ-ისა:
21	**8418 61**	თბონასოსები, გარდა 8415 პოზიციის, ჰაერის კონდენცირებისათვის განკუთვნილი, მოწყობილობებისა:

22	**8418 50**	საცივებელი ან საყინულე კამერები, კარადები, ვიტრინები, დახლები და ანალოგიური ავეჯი ჩაყენებული მაცივარი და საყინულე დანადგარებით, დანარჩენი:
23	**8418 69**	დანარჩენი:
24	**8476 21**	ჩადგმული სახურებელი ან გამაცივებელი მოწყობილობებით
25	**8476 81**	ჩადგმული სახურებელი ან გამაცივებელი მოწყობილობებით
2. ეკრანების მონიტორები, 100 სმ² -ზე მეტი ფართობის მქონე ეკრანების შემცველი ტექნიკა		
26	**8528 42 00**	მონიტორები ელექტრულ-სხივური მილაკით, უშუალოდ მისაერთებელი და შემუშავებული 8471 სასაქონლო პოზიციის გამოთვლით მანქანებისთვის
27	**8528 49 00**	მონიტორები ელექტრულ-სხივური მილაკით, დანარჩენი
28	**8528 52 10**	მონიტორები დანარჩენი: განკუთვნილი მხოლოდ ან ძირითადად 8471 სასაქონლო პოზიციის გამოთვლით სისტემებში
29	**8528 52 91**	LCD მონიტორები, უშუალოდ მისაერთებელი და შემუშავებული 8471 სასაქონლო პოზიციის გამოთვლით მანქანებისთვის, მაგრამ განკუთვნილი არა მხოლოდ ან ძირითადად 8471 სასაქონლო პოზიციის გამოთვლით სისტემებში
30	**8528 52 99**	მონიტორები დანარჩენი, უშუალოდ მისაერთებელი და შემუშავებული 8471 სასაქონლო პოზიციის გამოთვლით მანქანებისთვის, მაგრამ განკუთვნილი არა მხოლოდ ან ძირითადად 8471 სასაქონლო პოზიციის გამოთვლით სისტემებში
31	**8528 59 00**	მონიტორები დანარჩენი
32	**8528 72 10**	ფერადი სატელევიზიო პროექციული მოწყობილობა, ვიდეოდისპლეისთან და ეკრანთან შეთავსებული
33	**8528 72 20**	ფერადი აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის, შეთავსებული ვიდეოჩამწერ ან ვიდეოაღმწარმოებელ აპარატურასთან
34	**8528 72 30**	ფერადი აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის, ჩადგმული მილაკით (შეთავსებული ვიდეოჩამწერი ან ვიდეოაღმწარმოებელი აპარატურისა და მონიტორების გარდა)
35	**8528 72 40**	ფერადი აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის, ეკრანით თხევადკრისტალური (LCD) დისპლეისგან (შეთავსებული ვიდეოჩამწერი ან ვიდეოაღმწარმოებელი აპარატურის, მონიტორებისა და სატელევიზიო პროექციული მოწყობილობების გარდა)
36	**8528 72 60**	ფერადი აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის, ეკრანით პლაზმური (PDP) დისპლეისგან (შეთავსებული ვიდეოჩამწერი ან ვიდეოაღმწარმოებელი აპარატურის, მონიტორებისა და სატელევიზიო პროექციული მოწყობილობების გარდა)
37	**8528 72 80**	ფერადი აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის, დანარჩენი (ჩადგმული მილაკით, ეკრანით თხევადკრისტალური (LCD) დისპლეისგან, ეკრანით პლაზმური (PDP) დისპლეისგან, შეთავსებული ვიდეოჩამწერი ან ვიდეოაღმწარმოებელი აპარატურის, მონიტორებისა და სატელევიზიო პროექციული მოწყობილობების გარდა)
38	**8528 73 00**	დანარჩენი აპარატურა, მონოქრომული გამოსახულების

39	**8471 30 00**	პორტატიული ციფრული გამომთვლელი მანქანები მასით არა უმეტეს 10 კგ-ისა, რომლებიც შეიცავენ, როგორც მინიმუმ, ცენტრალურ პროცესორს, კლავიატურას და დისპლეის
40	**8531 20**	ინდიკატორული პანელები, თხევადკრისტალური ან შუქდიოდებიანი მოწყობილობის შემცველი:
41	**8531 20 001 00**	სამოქალაქო ავიაციისათვის
42	**8531 20 200 00**	შუქდიოდების შემცველი (LED)
43	**8531 20 400 00**	აქტიური მატრიცულ თხევადკრისტალური მოწყობილობების შემცველი (LCD)
44	**8531 20 950 00**	დანარჩენი
	3. ნათურები	
45	**8539 31 10**	აირგანმუხტვის ნათურები ლუმინესცენტური თერმოკათოდით, ორცოკოლიანი
46	**8539 31 90**	აირგანმუხტვის ნათურები ლუმინესცენტური თერმოკათოდით, დანარჩენი
47	**8539 32 20**	ვერცხლისწყლის ან ნატრიუმის ნათურები
48	**8539 32 90**	ლითონჰალოგენური ნათურები
49	**8539 39 20**	ცივკათონური ლუმინესცენტური ნათურები (CCFLs) თხევადკლისტალური დისპლეების გასანათებლად
50	**8539 39 80**	აირგანმუხტვის ნათურები, დანარჩენი
51	**8539 41 00**	რკალური ნათურები
52	**8539 49 00**	ულტრაიისფერი ან ინფრაწითელი გამოსხივების ნათურები
53	**8539 50 00**	ნათურები დიოდური (LED) ნათებით
54	**8513 10 000 00**	ფარნები
	4. მსხვილი ტექნიკა (გარე ზომა 50სმ-ზე მეტი)	
55	**8450 11 11**	მთლიანად ავტომატური საყოფაცხოვრებო ან სამრეცხაოებისათვის განკუთვნილი სარეცხი მანქანები ფრონტალური ჩატვირთვით, მშრალი თეთრეულის ტევადობით არაუმეტეს 6კგ-ისა;
56	**8450 11 19**	მთლიანად ავტომატური საყოფაცხოვრებო ან სამრეცხაოებისათვის განკუთვნილი სარეცხი მანქანები მშრალი თეთრეულის ტევადობით არაუმეტეს 6კგ-ისა, ზედა ჩატვირთვით
57	**8450 11 90**	მთლიანად ავტომატური საყოფაცხოვრებო ან სამრეცხაოებისათვის განკუთვნილი სარეცხი მანქანები მშრალი თეთრეულის ტევადობით 6 კგ-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 10 კგ-ისა
58	**8450 12 00**	საყოფაცხოვრებო ან სამრეცხაოებისათვის განკუთვნილი სარეცხი მანქანები ჩადგმული ცენტრიდანული საწური მოწყობილობით, დანარჩენი
59	**8450 19 00**	საყოფაცხოვრებო ან სამრეცხაოებისათვის განკუთვნილი სარეცხი მანქანები, დანარჩენი
60	**8450 20 00**	მანქანები მშრალი თეთრეულის ტევადობით 10 კგ-ზე მეტი
61	**8421 12**	თეთრეულის საშრობები
62	**8422 11 00**	საყოფაცხოვრებო ჭურჭლის სარეცხი მანქანა
63	**8422 19 00**	არა საყოფაცხოვრებო ჭურჭლის სარეცხი მანქანა

64	**8422 20 00**	ბოთლებისა ან სხვა ტევადობების სარეცხი და საშრობი მოწყობილობები
65	**8422 30 00**	მოწყობილობები ბოთლების, ქილების ასავსები, მოსახუფი, ყუთების, ტომრებისა ან სხვა ტევადობების დასახური, მათი დასალუქი ან ეტიკეტირებისათვის; მოწყობილობები ბოთლების, ქილების, ტუბებისა და ანალოგიური ტევადობების ჰერმეტული დახუფვისათვის; მოწყობილობები სასმელების დაგაზიანებისათვის
66	**8422 40 00**	შესაფუთი ან შესახვევი მოწყობილობები (შესაფუთი მასალის თერმოდატანით შემხვევი მოწყობილობის ჩათვლით) დანარჩენი
67	**8516 60 10**	ელექტროქურები (ელექტროსახურებელი ელემენტების მქონე ჰაერკარადითა და პანელით მაინც)
68	**8516 60 50**	ელექტროქურები, სახარში ქვაბები და პანელები ელექტროსახურებელი ელემენტებით ელექტროღუმლებისათვის
69	**8516 60 70**	გრილები და როსტერები
70	**8516 60 80**	ჩადგმული ელ.ღუმელები
71	**8516 60 90**	ღუმელები დანარჩენი
72	**9207 10 10**	ორგანები, რომლებშიც ხმა იწარმოება ან ძლიერდება ელექტრობის საშუალებით
73	**9207 10 30**	ციფრული ფორტეპიანოები
74	**9207 10 50**	სითეზატორები
75	**9207 10 80**	მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებშიც ხმა იწარმოება ან ძლიერდება ელექტრობის საშუალებით (ორგანების, ციფრული ფორტეპიანოების, სითეზატორების, აკორდეონების გარდა)
76	**9207 90 10**	გიტარები, რომლებშიც ხმა იწარმოება ან ძლიერდება ელექტრობის საშუალებით
77	**9207 90 90**	დანარჩენი მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებშიც ხმა იწარმოება ან ძლიერდება ელექტრობის საშუალებით
78	**8451 10**	მშრალი წმენდის მანქანები
79	**8451 30**	საუთოვებელი მანქანები და წნეხები (წნეხების ჩათვლით მასალების თერმოფიქსაციისათვის)
80	**8451 21**	მშრალი თეთრეულის ტევადობით არაუმეტეს 10 კგ-ისა
81	**8451 29**	დანარჩენი
82		გამწოვი ხუფები ან კარადები, მაქსიმალური ჰორიზონტალური ზომით არა უმეტესი 120 სმ-ისა
83	**8516 21**	თბომააკუმულირებელი რადიატორები
84	**8443 12**	ოფსეტური ბეჭდვის მანქანები ფურცლოვანი, საოფისე (ფურცლის ფორმატით არაუმეტეს 22x36 სმ-ისა)
85	**8443 31**	მანქანები, რომლებიც ასრულებენ ორ ან მეტ ფუნქციას, როგორიცაა ბეჭდვა, კოპირება ან ფაქსიმილური გადაცემა, გამომთვლელ მანქანასთან ან ქსელთან მიერთების საშუალებით
86	**8443 32**	დანარჩენი, გამომთვლელ მანქანასთან ან ქსელთან მიერთების საშუალებით:
87	**8443 39**	დანარჩენი
88	**8433 11 100 00**	ძრავიანი, ჰორიზონტალურ სიბრტყეში მბრუნავი მჭრელი ნაწილით: ელექტრული
89	**8433 19 100 00**	დანარჩენი: ელექტრული

90	**9018 11**	ელექტროკარდიოგრაფები
91	**9018 12**	ულტრაბგერითი სკანირების აპარატურა
92	**9018 13**	მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფები
93	**9018 14**	სცინტიგრაფიული აპარატურა
94	**9018 19**	დანარჩენი:
95	**9018 41**	ბორმანქანები, შეთავსებული ან შეუთავსებელი ერთიან ფუძეზე დანარჩენ სტომატოლოგიურ მოწყობილობებთან
96	**8476 29**	დანარჩენი
97	**8476 89**	დანარჩენი:
5. მცირე ზომის ტექნიკა (გარე ზომის 50სმ-ზე ნაკლები)		
98	**8470 50**	საკასო აპარატები
99	**8470 90**	დანარჩენი
100	**8518 10 30**	მიკროფონები, სიხშირის ზოლით 300 ჰც-დან 3,4 კჰც-მდე, დიამეტრით არა უმეტეს 10 მმ-ისა და სიმაღლით არა უმეტეს 3 მმ-ისა, ტელეკომუნიკაციებში გამოსაყენებელი
101	**8518 10 95**	მიკროფონები და მათი ქვესადგამები დანარჩენი
102	**8518 21 00**	ხმამაღლამოლაპარაკეები, კორპუსში ჩამონტაჟებული
103	**8518 22 00**	ხმამაღლამოლაპარაკეების კომპლექტები, ერთ კორპუსში ჩამონტაჟებული
104	**8518 29 30**	ხმამაღლამოლაპარაკეები, სიხშირის ზოლით 300 ჰც-დან 3,4 კჰც-მდე, დიამეტრით არა უმეტეს 50 მმ-ისა, ტელეკომუნიკაციებში გამოსაყენებელი
105	**8518 29 95**	ხმამაღლამოლაპარაკეები დანარჩენი
106	**8518 30 20**	სატელეფონო სადენიანი ყურმილები
107	**8518 30 95**	საყურისები და თავის ტელეფონები, მიკროფონთან გაერთიანებული ან გაუერთიანებელი, და კომპლექტები, შემდგარი მიკროფონისა და ერთი ან მეტი ხმამაღლამოლაპარაკისაგან
108	**8518 40 30**	ბგერითი სიხშირის ელექტრული გამაძლიერებლები სატელეფონო და საზომი
109	**8518 40 80**	ბგერითი სიხშირის ელექტრული გამაძლიერებლები, დანარჩენი
110	**8518 50 00**	ელექტრული ბგერათგამაძლიერებელი კომპლექტები
111	**8519 20 10**	ფირფიტასაკრავები, რომლებიც ჩაირთვება მონეტით ან ჟეტონით
112	**8519 20 91**	ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა, რომლებიც ჩაირთვება მონეტებით, ბანკნოტებით, ბანკის ბარათებით, ჟეტონებით ან გადახდის სხვა ფორმებით, ლაზერული ამომკითხავი სისტემით
113	**8519 20 99**	ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა, რომლებიც ჩაირთვება მონეტებით, ბანკნოტებით, ბანკის ბარათებით, ჟეტონებით ან გადახდის სხვა ფორმებით, დანარჩენი
114	**8519 81 11**	ბგერათაღმწარმოებელი მოწყობილობები რადიოტრანსლიაციისათვის (კასეტური პლეიერების ჩათვლით), ბგერის ჩამწერი მოწყობილობის გარეშე, მაგნიტური, ოპტიკური, ან ნახევარგამტარული საშუალებების გამოყენებით

115	**8519 81 15**	ბგერათაღმწარმოებელი მოწყობილობები დანარჩენი, ჯიბის კასეტური პლეიერები
116	**8519 81 21**	კასეტური ტიპის პლეერები, ანალოგური და ციფრული ამომკითხავი სისტემით, ბგერის ჩამწერი მოწყობილობის გარეშე, მაგნიტური, ოპტიკური, ან ნახევარგამტარული საშუალებების გამოყენებით
117	**8519 81 25**	ბგერათაღმწარმოებელი მოწყობილობები კასეტური ტიპის დანარჩენი, ბგერის ჩამწერი მოწყობილობის გარეშე, მაგნიტური, ოპტიკური, ან ნახევარგამტარული საშუალებების გამოყენებით
118	**8519 81 31**	ბგერათაღმწარმოებელი მოწყობილობები ლაზერული ამომკითხავი სისტემით, ბგერის ჩამწერი მოწყობილობის გარეშე, ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებელი, რომელიც იყენებს დისკოებს დიამეტრით არა უმეტეს 6,5 სმ-ისა
119	**8519 81 35**	ბგერათაღმწარმოებელი მოწყობილობები ლაზერული ამომკითხავი სისტემით, ბგერის ჩამწერი მოწყობილობის გარეშე, დანარჩენი
120	**8519 81 45**	ბგერათაღმწარმოებელი მოწყობილობები, ბგერის ჩამწერი მოწყობილობის გარეშე, მაგნიტური, ოპტიკური, ან ნახევარგამტარული საშუალებების გამოყენებით, ლაზერული ამომკითხავი სისტემის გარეშე
121	**8519 81 51**	დიქტოფონები , რომლებსაც არ შეუძლია მუშაობა გარე კვების წყაროს გარეშე
122	**8519 81 70**	მაგნიტური მაგნიტოფონები დანარჩენი, ბგერათაღმწარმოებელი მოწყობილობების ჩათვლით
123	**8519 81 95**	ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა დანარჩენი, მაგნიტური, ოპტიკური, ან ნახევარგამტარული საშუალებების გამოყენებით
124	**8519 89 00**	ბგერათჩამწერი და ბგერათაღმწარმოებელი აპარატურა დანარჩენი
125	**8521 10 20**	აპარატურა ვიდეოჩამწერი ან ვიდეოაღმწარმოებელი, შეთავსებული ან შეუთავსებელი ვიდეოტიუნერთან მაგნიტურ ლენტზე, ლენტის სიგანით არა უმეტეს 1,3 სმ-ისა გამომყენებელი და ჩაწერის ან აღწარმოების შესაძლებლობით ლენტის მოძრაობის სიჩქარეზე არა უმეტეს 50 მმ/წმ-ისა
126	**8521 10 95**	აპარატურა ვიდეოჩამწერი ან ვიდეოაღმწარმოებელი, შეთავსებული ან შეუთავსებელი ვიდეოტიუნერთან მაგნიტურ ლენტზე, დანარჩენი
127	**8521 90 00**	აპარატურა ვიდეოჩამწერი ან ვიდეოაღმწარმოებელი, შეთავსებული ან შეუთავსებელი ვიდეოტიუნერთან, დანარჩენი
128	**8527 12 10**	ჯიბის კასეტური პლეერები რადიომიმღებით, ანალოგური და ციფრული ამომკითხავი სისტემით
129	**8527 12 90**	ჯიბის კასეტური პლეიერები რადიომიმღებით, დანარჩენი
130	**8527 13 10**	ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, მომუშავე კვების გარე წყაროს გარეშე, შეთავსებული ბგერათჩამწერ ან ბგერათაღმწარმოებელ მოწყობილობასთან, ლაზერული ამომკითხავი სისტემით
131	**8527 13 91**	კასეტური ტიპის აპარატურა, მომუშავე კვების გარე წყაროს გარეშე, შეთავსებული ბგერათჩამწერ ან ბგერათაღმწარმოებელ მოწყობილობასთან, ანალოგური და ციფრული ამომკითხავი სისტემით
132	**8527 13 99**	ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, მომუშავე კვების გარე წყაროს გარეშე, შეთავსებული ბგერათჩამწერ ან ბგერათაღმწარმოებელ მოწყობილობასთან, დანარჩენი

133	**8527 19 00**	ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, მომუშავე კვების გარე წყაროს გარეშე, დანარჩენი
134	**8527 21 20**	ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, ციფრული რადიოსაინფორმაციო სისტემის სიგნალების მიღებისა და დეკოდირების უნარის მქონე, მომუშავე მხოლოდ გარე კვების წყაროს საშუალებით, ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებელი, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერთაღწარმოების მოწყობილობასთან ლაზერული ამომკითხავი სისტემით
135	**8527 21 52**	კასეტური ტიპის ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, ციფრული რადიოსაინფორმაციო სისტემის სიგნალების მიღებისა და დეკოდირების უნარის მქონე, მომუშავე მხოლოდ გარე კვების წყაროს საშუალებით, ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებელი, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერთაღწარმოების მოწყობილობასთან, ანალოგური და ციფრული ამომკითხავი სისტემით
136	**8527 21 59**	ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, ციფრული რადიოსაინფორმაციო სისტემის სიგნალების მიღებისა და დეკოდირების უნარის მქონე, მომუშავე მხოლოდ გარე კვების წყაროს საშუალებით, ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებელი, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერთაღწარმოების მოწყობილობასთან, დანარჩენი
137	**8527 21 70**	ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, მომუშავე მხოლოდ გარე კვების წყაროს საშუალებით, ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებელი, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერთაღწარმოების მოწყობილობასთან, ლაზერული ამომკითხავი სისტემით
138	**8527 21 92**	კასეტური ტიპის ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, მომუშავე მხოლოდ გარე კვების წყაროს საშუალებით, ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებელი, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერთაღწარმოების მოწყობილობასთან, ანალოგური და ციფრული ამომკითხავი სისტემით
139	**8527 21 98**	ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, მომუშავე მხოლოდ გარე კვების წყაროს საშუალებით, ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებელი, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერთაღწარმოების მოწყობილობასთან, დანარჩენი
140	**8527 29 00**	ფართო მაუწყებლობის რადიომიმღებები, მომუშავე მხოლოდ გარე კვების წყაროს საშუალებით, ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში გამოსაყენებელი, დანარჩენი
141	**8527 91 11**	კასეტური ტიპის აპარატურა მიმღები რადიომაუწყებლობისათვის, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერათაღწარმოების მოწყობილობასთან, ერთი ან მეტი ხმამაღლამოლაპარაკით იმავე კორპუსში, ანალოგური და ციფრული ამომკითხავი სისტემით
142	**8527 91 19**	აპარატურა მიმღები რადიომაუწყებლობისათვის, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერათაღწარმოების მოწყობილობასთან, ერთი ან მეტი ხმამაღლამოლაპარაკით იმავე კორპუსში, დანარჩენი
143	**8527 91 35**	აპარატურა მიმღები რადიომაუწყებლობისათვის, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერათაღწარმოების მოწყობილობასთან, ლაზერული ამომკითხავი სისტემით

144	**8527 91 91**	კასეტური ტიპის აპარატურა მიმღები რადიომაუწყებლობისათვის, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერათაღწარმოების მოწყობილობასთან, ანალოგური და ციფრული ამომკითხავი სისტემით
145	**8527 91 99**	აპარატურა მიმღები რადიომაუწყებლობისათვის, შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერათაღწარმოების მოწყობილობასთან, დანარჩენი
146	**8527 92 10**	რადიომიმღებები-მაღვიძარები, ბგერათჩამწერ ან აღმწარმოებელ მოწყობილობასთან შეუთავსებელი
147	**8527 92 90**	აპარატურა მიმღები რადიომაუწყებლობისათვის, ბგერათჩამწერ ან აღმწარმოებელ მოწყობილობასთან შეუთავსებელი, მაგრამ საათებთან შეთავსებული, დანარჩენი
148	**8527 99 00**	აპარატურა მიმღები რადიომაუწყებლობისათვის, დანარჩენი
149	**8516 50**	მიკროტალღური ღუმლები
150	**9015 10 100 00**	მანძილსაზომები: ელექტრონული
151	**9015 20 100 00**	თეოდოლიტები და ტახეომეტრები: ელექტრონული
152	**9015 30 100 00**	ნიველირები: ელექტრონული
153	**9015 40 100 00**	ფოტოგრამეტრული გეოდეზიური ან ტოპოგრაფიული ინსტრუმენტები და ხელსაწყოები: ელექტრონული
154	**9015 80**	ხელსაწყოები და ინსტრუმენტები დანარჩენი:
155	**6301 10**	ელექტრული საბნები
156	**8423 81 210 00**	მასის კონტროლის მოწყობილობები და საკონტროლო მოწყობილობები ავტომატური, რომლებიც მოქმედებაში მოდიან წინასწარ მითითებული მასის მიღწევისას
157	**8423 81 230 00**	მოწყობილობები წინასწარ შეფუთული საქონლის აწონვისა და ნიშანდებისათვის
158	**8423 81 250 00**	მაღაზიის სასწორები
159	**8423 81 290 00**	დანარჩენი
160	**8452 10 110 00**	საკერავი მანქანები (ჩარჩოების, მაგიდებისა ან ტუმბოების გარეშე) ღირებულებით 65 ევროზე მეტი, საყოფაცხოვრებო
161	**8453 10 190 00**	საკერავი მანქანები დანარჩენი, საყოფაცხოვრებო
162	**8509 80**	ხელსაწყოები დანარჩენი
163	**8516 40**	ელექტროუთოები
164	**9101 11**	მხოლოდ მექანიკური ინდიკაციით
165	**9101 19**	დანარჩენი
166	**9101 91**	ელექტრობით მოსაყვანი მოქმედებაში
167	**9102 11**	მხოლოდ მექანიკური ინდიკაციით
168	**9102 12**	მხოლოდ ოპტიკურ-ელექტრონული ინდიკაციით
169	**9102 19**	დანარჩენი
170	**9102 91**	ელექტრობით მოსაყვანი მოქმედებაში
171	**9103 10**	ელექტრობით მოსაყვანი მოქმედებაში
172	**9105 11**	ელექტრობით მოსაყვანი მოქმედებაში
173	**9105 21**	ელექტრობით მოსაყვანი მოქმედებაში
174	**9105 91**	ელექტრობით მოსაყვანი მოქმედებაში

175	**9107 00**	დროის გადამრთველები ნებისმიერი სახის საათის მექანიზმებითა ან სინქრონული ძრავით
176	**9108 11**	მხოლოდ მექანიკური ინდიკაციითა ან მექანიკური ინდიკატორის დაყენების მოწყობილობით
177	**9108 12**	მხოლოდ ოპტიკურ-ელექტრონული ინდიკაციით
178	**9108 19**	დანარჩენი
179	**9109 10**	ელექტრობით მოსაყვანი მოქმედებაში:
180	**9109 90**	დანარჩენი
181	**8509 40**	კვების პროდუქტების დამაქუცმაცებლები და მიქსერები; ხილის ან ბოსტნეულის წვენსაწურები
182	**8516 72**	ტოსტერები
183	**8516 79**	დანარჩენი:
184	**8516 10**	არაინერციული ელექტრული წყალსათბობები ან მააკუმულირებელი და ჩასაძირი ელექტროსახურებლები:
185	**8516 71**	ყავის ან ჩაის მოსამზადებელი
186	**8508 11**	სიმძლავრით არა უმეტეს 1500 ვტ-ისა, აღჭურვილი მტვრის დამაგროვებელი ტომრით, ან სხვა მტვერდამაგროვებლით არა უმეტეს 20 ლ მოცულობისა
187	**8508 19**	დანარჩენი
188	**8508 60**	მტვერსასრუტები დანარჩენი
189	**8510 10**	ელექტროსამართებლები
190	**8510 20**	თმის საკრეჭი მანქანები
191	**8510 30**	თმის მოსაშორებელი სამარჯვები
192	**8516 31**	თმის საშრობი ელექტროთერმული აპარატები
193	**8516 32**	ელექტროხელსაწყოები საპარიკმახერო მიზნებისათვის, დანარჩენი
194	**8516 33**	ხელის ელექტროსაშრობები
195	**8472 10**	პირგადასაღებ-სამრავლი მანქანები
196	**8472 30**	მანქანები საფოსტო კორესპონდენციის დახარისხების, დაკეცვის, კონვერტებში ჩალაგებისა ან გადახვევისათვის, მანქანები საფოსტო კორესპონდენციის გასახსნელი, დასახური ან დასალუქი და მანქანები საფოსტო მარკების დასაწებებელი ან გასანაღდებელი
197	**8472 90**	დანარჩენი:
198	**8519 30**	ელექტროფირფიტასაკრავი მოწყობილობები (დეკები)
199	**8519 81**	მაგნიტური, ოპტიკური, ან ნახევარგამტარული საშუალებების გამოყენებით:
200	**8519 89**	დანარჩენი
201	**8527 21**	შეთავსებული ბგერათჩაწერის ან ბგერთაღწარმოების მოწყობილობასთან:
202	**8527 29**	დანარჩენი
203	**8521 10**	მაგნიტურ ლენტზე:
204	**8521 90**	დანარჩენი
205	**8525 60**	გადამცემი აპარატურა, რომელიც შეიცავს მიმღებ მოწყობილობას
206	**8528 71**	ვიდეოდისპლეისთან და ეკრანთან შეუთავსებელი:
207	**9006 61**	განმუხტვის (ელექტრონული) ფოტოაფეთქებები
208	**9006 69**	დანარჩენი

209	**9007 10**	კინოკამერები
210	**9007 20**	კინოპროექტორები
211	**9010 10**	აპარატურა და მოწყობილობები ფოტოფირებისა (კინოფირების ჩათვლით) ან რულონის ფოტოქაღალდის ავტომატური გამჟღავნებისათვის ან რულონის ფოტოქაღალდზე ავტომატური ბეჭდვისათვის
212	**9010 50**	ფოტოლაბორატორიების (კინოლაბორატორიების ჩათვლით) აპარატურა და მოწყობილობები, დანარჩენი; ნეგატოსკოპები
213	**9010 60**	საპროექციო ეკრანები
214	**9031 49**	დანარჩენი:
215	**8525 80**	სატელევიზიო კამერები, ციფრული კამერები და ჩამწერივიდეოკამერები:
216	**8512 10**	განათების ან ვიზუალური სიგნალიზაციის ხელსაწყოები, გამოსაყენებელი ველოსიპედებზე
217	**9405 10**	ჭაღები და სხვა ელექტრული მნათი მოწყობილობები, კიდული ან კედლის, გარდა ღია საზოგადოებრივი ადგილების ან სატრანსპორტო მაგისტრალების განათებისათვის გამოსაყენებელი ტიპის მნათი მოწყობილობისა:
218	**9405 20**	ელექტრული ლამპები მაგიდის, იატაკისა ან საწოლთან დასაყენებელი:
219	**9405 30**	ნაძვის ხეების მოსართავად გამოსაყენებელი ტიპის მნათი მოწყობილობების ნაკრებები
220	**9405 40**	ელექტრული ლამპები და მნათი მოწყობილობები დანარჩენი:
221	**8467 21**	ყველა ტიპის დრელები:
222	**8467 22**	ხერხები:
223	**8467 29**	დანარჩენი:
224	**8515 11**	სარჩილავები და სარჩილავი პისტოლეტები დაბალტემპერატურიანი რჩილვისათვის
225	**8515 19**	დანარჩენი:
226	**8515 21**	ავტომატური ან ნახევრადავტომატური
227	**8515 29**	დანარჩენი
228	**8515 31**	ავტომატური ან ნახევრადავტომატური
229	**9503 00 300 00**	ელექტრული მატარებლები, რელსების, შუქნიშნებისა და მათი საკუთნოების ჩათვლით; ცალკეული ელემენტების ნაკრებები შემცირებული ზომის (,,მასშტაბის'') მოდელების აწყობისათვის
230	**9503 00 750 00**	პლასტმასის, ჩადგმული ძრავით
231	**9503 00 790 00**	დანარჩენი მასალებისაგან, ჩადგმული ძრავით
232	**9504 30 100 00**	თამაშები ეკრანით
233	**9504 30 200 00**	თამაშები დანარჩენი
234	**9504 50 000 00**	ვიდეო თამაშების კონსოლები და მანქანები, 9504 30 სუბპოზიციაში მითითებულის გარდა
235	**9504 90 100 00**	ელექტრული სარბოლი ავტომობილების ნაკრებები შესაჯიბრი თამაშებისათვის
236	**8531 10**	დამცავი სასიგნალო მოწყობილობები ან მოწყობილობები სახანძრო სიგნალის მიწოდებისათვის და ანალოგიური მოწყობილობები:
237	**8531 80**	მოწყობილობები დანარჩენი:

238	**8543 70**	დანარჩენი მანქანები და აპარატურა:
239	**9017 30**	მიკრომეტრები, კარაკანები, შტანგენფარგლები და კალიბრები
240	**9024 10**	მანქანები და მოწყობილობები ლითონების გამოსაცდელად:
241	**9024 80 110 00**	ტექსტილის მასალების, ქაღალდისა ან მუყაოს გამოსაცდელი
242	**9024 80 190 00**	დანარჩენი
243	**9025 19 200 00**	ელექტრონული
244	**9025 80 400 00**	ელექტრონული
245	**9026 10 210 00**	ხარჯსაზომები
246	**9026 10 290 00**	დანარჩენი
247	**9026 20 200 00**	ელექტრონული
248	**9026 80 200 00**	ელექტრონული
249	**9027 10 100 00**	ელექტრონული
250	**9027 80 110 00**	pH-მეტრები, rH-მეტრები და ელექტროგამტარიანობის საზომი დანარჩენი აპარატურა
251	**9027 80 130 00**	აპარატურა, თხევადკრისტალური მოწყობილობების ნახევრადგამტარიანი მასალებისა ან ფუძეშრეების, ან ნახევრადგამტარიანი ფირფიტებისა ან თხევადკრისტალური მოწყობილობების დამზადების პროცესში დატანებული მაიზოლირებელი და გამტარი შრეების ფიზიკური მაზასიათებლების გაზომვისათვის
252	**9027 80 170 00**	დანარჩენი
253	**9030 20 009 00**	დანარჩენი
254	**9030 33 300 00**	ელექტრონული
255	**9030 39 009 00**	დანარჩენი
256	**9030 89 300 00**	ელექტრონული
257	**9031 80**	ხელსაწყოები, მოწყობილობები და მანქანები დანარჩენი:
258	**9032 10 200 00**	ელექტრონული
6. მცირე ზომის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები (გარე ზომა 50 სმ-ზე ნაკლები)		
259	**8517 69 10**	ვიდეოფონები
260	**8517 69 20**	დომოფონები
261	**8517 69 30**	მიმღები აპარატურა რადიოსატელეფონო ან რადიოსატელეგრაფო კავშირისათვის
262	**8517 69 90**	დანარჩენი აპარატურა ხმის, გამოსახულების ან სხვა მონაცემების გადაცემისა და მიღებისთვის, სადენიანი და უსადენო კავშირგაბმულობის ქსელში კომუნიკაციისათვის განკუთვნილი აპარატურის ჩათვლით (მაგალითად, როგორიცაა ადგილობრივი ან საერთაშორისო ქსელი): დანარჩენი
263	**8525 60 00**	გადამცემი აპარატურა რადიომაუწყებლობისა ან ტელევიზიისათვის, რომელიც შეიცავს მიმღებ მოწყობილობას
264	**8517 12 00**	სატელეფონო აპარატები ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის

265	**8471 41 00**	ციფრული გამომთვლელი მანქანები, ერთ კორპუსში, როგორც მინიმუმ, მონაცემთა დამუშავების ცენტრალური ბლოკისა და შემყვანგამომყვანი მოწყობილობის შემცველი, გაერთიანებული ან არა
266	**8471 49 00**	ციფრული გამომთვლელი მანქანები, მისაწოდებელი სისტემების სახით
267	**8517 62 00**	მოწყობილობები ხმის, გამოსახულების ან სხვა მონაცემების მიღების, გარდაქმნის და გადაცემისთვის, ან აღდგენისათვის, საკომუტაციო მოწყობილობების ჩათვლით
268	**8470 10 00**	გარე კვების წყაროს გარეშე მომუშავე ელექტრონული კალკულატორები, და ჯიბის მანქანები მონაცემთა ჩაწერის, აღწარმოების და ვიზუალური წარმოდგენისათვის, გამოთვლითი ფუნქციებით
269	**8526 10 00**	რადიოლოკაციური აპარატურა
270	**8526 91 20**	რადიონავიგაციური მიმღებები
271	**8526 91 80**	რადიონავიგაციური აპარატურა, დანარჩენი
272	**8526 92 00**	დისტანციური მართვის რადიოაპარატურა
273	**8470 21**	ჩაყენებული საბეჭდი მოწყობილობით
274	**8470 29**	დანარჩენი
275	**8471 70**	დამხსომებელი მოწყობილობები:
276	**8471 80**	გამომთვლელი მანქანების მოწყობილობები დანარჩენი
277	**8471 90**	დანარჩენი
278	**8471 50**	მონაცემების დამუშავების ციფრული ბლოკები, 8471 41 ან 8471 49 სუბპოზიციებში აღწერილისაგან განსხვავებული, ერთ კორპუსში ერთი ან ორი შემდეგი მოწყობილობების შემცველი ან შეუცველი: დამხსომებელი მოწყობილობები, შემყვანი მოწყობილობები, გამომყვანი მოწყობილობები:
279	**8443 31**	მანქანები, რომლებიც ასრულებენ ორ ან მეტ ფუნქციას, როგორიცაა ბეჭდვა, კოპირება ან ფაქსიმილური გადაცემა, გამომთვლელ მანქანასთან ან ქსელთან მიერთების საშუალებით
280	**8443 32**	დანარჩენი, გამომთვლელ მანქანასთან ან ქსელთან მიერთების საშუალებით:
281	**8517 18**	დანარჩენი
282	**8517 69**	დანარჩენი:
283	**9030 40**	ხელსაწყოები და აპარატურა, სპეციალურად განკუთვნილი ტელეკომუნიკაციებისათვის, დანარჩენი (მაგალითად, ჯვარედინი დაბრკოლებების, გაძლიერების კოეფიციენტების, დამახინჯების კოეფიციენტების გამზომები, ფსოფომეტრები):
284	**8517 61**	საბაზო სადგურები
285	**8519 50**	სატელეფონო ავტომოპასუხეები

დანართი 6

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 31 მაისის ბრძანება №2-381 - ვებგვერდი, 01.06.2022 წ.

შტრიხკოდი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ამონაწერი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების
ელექტრონული რეესტრიდან

მწარმოებლის რეგისტრაციის ნომერი:

რეგისტრაციის თარიღი:

მწარმოებელი

სახელწოდება:

სამართლებრივი ფორმა :

საინდიფიკაციო ნომერი :

მგვ ორგანიზაციის წევრობა:

მწარმოებლის საკონტაქტო ინფორმაცია :

იურიდიული მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

ელ ფოსტა:

რეგისტრირებული მოდულები :

მოდულში რეგისტრაციის თარიღი :

ამონაწერის მომზადების თარიღი :